საქართველო: ძალისხმევა უკეთესი საერთაშორისო პარტნიორობისა და გლობალური ინკლუზიისთვის

თბილისი/ჟენევა (5 მაისი 2023) - საქართველომ დაადასტურა, რომ პოზიტიური ცვლილებით შესაძლებელია კონფლიქტის შედეგად წარმოქნილი მანკიერი წრის გარღვევა. განაცხადა გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა დემოკრატიული და სამართლიანი საერთაშორისო მართლწესრიგის ხელშეწყობის საკითხებში დოქტორმა ლივინგსტონ სევანიანამ დღეს, ქვეყანაში ათდღიანი ვიზიტის მიწურულს.

ბატონი სევანიანას განცხადებით, საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმეევა გასწია წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პრინციპების გატარების მიმართულებით ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და კონფლიქტის რეესკალაციის პრევენციისთვის.

„მოხარული ვარ, რომ მიუხედავად რიგი გამოწვევებისა, რაც უკავშირდება აფხაზეთისა და ცხინვალის/სამცრეთ ოსეთის რეგიონის სტატუსს, საქართველოს მთავრობამ მოახერხა შეემუშავებინა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა ხსენებულ რეგიონებთან დაკავშირებით, რომელიც ემსახურება ნდობის შენებას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების მიღმა დარჩენილ რეგიონებში მცხოვრებ თემებთან," განაცხადა ექსპერტმა.

ექსპერტმა ასევე გამოხატა მხარდაჭერა ჟენევის პერიოდული საერთაშორისო დისკუსიების გაგრძელების იდეის მიმართ, რომელიც ემსახურება 2008 წლის კონფლიქტის შედეგებთან გამკლავებას.

ექსპერტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას მოახდინოს რეაგირება სამოქალაქო საზოგადოების წუხილებზე, რაც უკავშირდება სამოქალაქო სივრცის შეზღუდვას და ხაზი გაუსვა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის აუცილებლობას.

რაც შეეხება სამოქალაქო სივრცესა და შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ექსპერტის აზრით მისასალმებელი იქნება, თუ კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება დემოკრატიული სივრცის გაფართოებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ალტერნატიული მოსაზრებებისა გათვალისწინების მიმართულებით.

განცხადების დასასრულს ექსპერტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას მეტი ძალისხმევა მიმართოს ქვეყანაში დემოკრატიის გაძლიერების, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობისადმი პატივისცემისკენ.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტი შეხვდა საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წევრებს, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს.

დამოუკიდებელი ექსპერტი ანგარიშს ვიზიტის შესახებ ძირითად რეკომენდაციებთან ერთად ადამიანის უფლებათა საბჭოს 2023 წლის სექტემბერში წარუდგენს.

See Georgian version of End of Mission Statement here.